



## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

თბილისი 0114, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1/383/19

30-10-2019

**„საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურის, სახელმწიფო მოსამსახურეთა და საჯარო მოსამსახურეთა (პროფესიული საჯარო მოხელეებისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების) საშტატო ნუსხისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 29 დეკემბრის №372/3 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურაში, სახელმწიფო მოსამსახურეთა და საჯარო მოსამსახურეთა (პროფესიული საჯარო მოხელეებისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების) საშტატო ნუსხისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობათა ნუსხაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 120-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 121-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“, „პ“ და „შ“ ქვეპუნქტებისა და 216-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის გივი მიქანაძის 2019 წლის 29 ოქტომბრის №2-19093/19 წარდგინების საფუძველზე:

1. „საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურის, სახელმწიფო მოსამსახურეთა და საჯარო მოსამსახურეთა (პროფესიული საჯარო მოხელეებისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების) საშტატო ნუსხისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 29 დეკემბრის №372/3 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურის, სახელმწიფო მოსამსახურეთა და საჯარო მოსამსახურეთა (პროფესიული საჯარო მოხელეებისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების) საშტატო ნუსხისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობათა ნუსხის“:

ა) მე-20 მუხლის:

ა.ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

ბ) მანდატური	მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III (უფროსი სპეციალისტის დონე)	პროფესიული საჯარო მოხელე	9	2.2	2200
--------------	---	--------------------------------------	--------------------------------	---	-----	------

“;

ა.ბ) ბოლოს სიტყვები „საშტატო ერთეულის რაოდენობა სულ: 9“ შეიცვალოს სიტყვებით „საშტატო ერთეულის რაოდენობა სულ: 10“;

ბ) 37-ე მუხლის შემდეგ სიტყვები:

ბ.ა) „სულ: პროფესიული საჯარო მოხელე – 394;“ შეიცვალოს სიტყვებით „სულ: პროფესიული საჯარო მოხელე – 395;“;

ბ.ბ) „სულ: საქართველოს პარლამენტის აპარატის საშტატო ერთეულთა რაოდენობა – 720.“ შეიცვალოს სიტყვებით „სულ: საქართველოს პარლამენტის აპარატის საშტატო ერთეულთა რაოდენობა – 721.“.

2. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

პარლამენტის თავმჯდომარე  
არჩილ თალაკვაძე

1. 01 